

წა იპოლიტე რომელი

სარწმუნოებისათჳს*

ურწამს ვითარცა ნათელ-ვიღეთ, და ვადიდებთ ვითარცა განვნათლდით ნათლისღებითა მით ემბაზისადათ. ¹⁰ ლურწამს სახელი მამისაჲ და ძისაჲ და წმიდისა სულისაჲ, ვითარცა ჰრქუა მკვსნელ-მან სახარებასა შინა მოწაფეთა მათ, ვითარმედ: «წარვედით ამიერითგან და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისადათ და ძისადათ და სულისა წმიდისადათ» (მთ. 28,19), რამეთუ ერთ არს არსებაჲ საკურველისა სამებისაჲ. ლურწამს და აღვიარებთ — მამად უშობელი, ღმერთი სრული და ძმ შობილი მამისაგან ნათლისა, ღმერთი სრული და სული წმიდაჲ, მომცემელ მადლთა, ღმერთი სრული, ერთღმრთეება, ერთბუნება, ერთნება, სამი სახელი სამებისაჲ სრული.

ჴოლო რაჲდენ რად არს არსებაჲ სიმდიდრისა მისისაჲ! ვინ იყოს კაცთაგანი, რომელი შემძლებელ იყოს ღმრთეებისა, ვითარ არს, ჭეშმარიტად გამოთქუმად? არამედ ზომით რაჲდენ — შემძლებელ არს უძლურებაჲ ესე ჩუენი? თუთ ინება და გკრუენა ჩუენ, რამეთუ «არა ვინ იცის ღმერთი, გარნა სულმანვე ღმრთისამან და ძემან, რომელი მოვიდა და გვთხრა და გამოგვცხადა და გვრუენა ჩუენ» (შდრ. I კორ. 2,11; მთ. 11,27; ლკ. 10,22), რამეთუ იტყვს: «რომელმან მიხილა მე, იხილა მამად ჩემი» (ინ. 14,9).

ჴოლო ჩუენ ვითარ შემძლებელ ვართ თხრობად, რომელნი შემშჭუალულნი ვდგათ სახესა ხატისა ამის ჩუენისასა, ვითარცა შეგუქმნნა ჩუენ შემოქმედმან? აწ ჩუენითა ამით ხატითა ღმერთი ვითარ-მე ვქადაგოთ, შენაწვერებულნი და შესუარულნი და შექერწულნი მიწისაგან? თითოვეულად [ასოებ თითოვეულად] საქმშ თანა-აქუს, ვერ შემძლებელ არს მოყუსისა მას საქმესა: არა თუალსა ესმის და არცა ყური ხედავს და არცა ენად იყოსოს, არცა გვლნი ვლენან, არცა ფერვნი ღაღადებენ. სირი — ჭამადთათუს, ცხვრნი — ყნოსისათუს, ქიმნი — გემოდს სახილველად, — თითოვეულად თუსსა მას ბუნებასა

გამობმულ არს და დგას.

ლარნა ესთენ ზოლო გურწამს და უწყით, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი, და არა თუ ვითარ არს შემძლებელ, ვინ არს თხრობად ღმერთი, რომელი ყოვლითავე ნათელ არს; ყოვლითავე — მსმენელ; ყოვლითავე — მხედველ; ყოვლითავე — რაჲდენცა თუთ არს, ყოვლითავე ძალ არს, ყოვლითავე სიბრძნე არს, სული ცხოველი, ცეცხლი შემწვეველი; განუზომელ და გარდაუცვალებელ; დიდება გამოუთქუმელ; ძალ აღუთუალველ; სიმდიდრე, სიკეთე, მსგავს, საკურველ, მიუწვეველ გონებათაგან და ზრახვათა, გარეშე ყოველთა სიტყუათა. ²⁰ სრა თუალთა ხილვა და არცა სასმენელთა სმენა და არცა მოგონებათა გულისათა შეუძლონ მიწვენად, რად არს, ცანი ყოვლითავე და სოფელი ყოვლითურთ და ცისკიდეთა ყოველთა ზე-ადპყრობად ვერ შეუძლონ; და სიტყუასა მისსა ზე-უტკრთავს და უპყრიეს ყოველი და ძალსა ბრძანებისა მისისასა დამოჰკიდავს. ²⁵ ოა დგას თუთ და ჰხუევიეს ყოველსა — ქუესკენელ ყოველსა და ზემო ყოვლისა, გარეშე ყოვლისა; და ყოველი მის თანა არს და ყოველი მისა, და ყოველი დიდება მისა. ³⁰ ოა ჟამად-ჟამად ეტყოდა წმიდათა მათ მამათა ჩუენთა ჩუენებათა შინა გამოუთქუმელთა, მიუგულებელთა ცვალებათა, რომელ არა თუ ღმრთეებაჲ იგი ევრე იყოს, არამედ ჩუენისა ამის ოდენ უძლურებისაებერ გუეჩუენის; და თუთ თუსსა მას ღმრთეებასა ჰგიეს და არს საუკუნე, ცეცხლსა განსაკურვებელსა, სიკეთესა და შუენიერებასა ქებულსა, ღმრთეებისა ხატსა, რამეთუ ღმერთი მიუწლომელ არს და განუზომელ და განუყოფელ და გამოუძიებელ და ⁴⁰ შეუხებელ, და ვერ გულისხმის-საყოფელ არს, ყოველთა დაბადებულთა გამოუჩინებელ ხილვად. ძახლობელ ყოველთა და სახელი მისი არაჲინ იცნა, და არაჲინ არს მისა უწინარშს სხუად, რომელმან მიერითგან მოაქამდე მას სახელ-სდგას, რამეთუ ყოველივე მის მიერ არს, ზოლო იგი თუთ თაჲადი არსებით არს. ⁴⁵ მხილავ არს მოგონებით გულთაგან და გამოუძიებელ ბუნებაჲ პოვნიერე-

* შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. ლგინიევილიმა და ელ. ლუნაშვილიმა, თბ., 1979. ლგ. 292-303.

ბისა მისისაჲ. როგორც შეუძლებელთა მიმართ შეძლება იპოვის მის თანა. **სწ** ვინ შემძლებელ არს ხილვად და გამოძიებად ესევითარისა ძლიერებისა? არამედ თუთ ერუენის ვგოდენ რავდენცა შემძლებელ ვინ არს ხილვად. **სწ** ყოვლისა შემოქმედმან, ყოვლისა დამბადებელმან, ყოვლისა მბრძანებელმან, ყოვლად მეცნიერმან, ყოვლად უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, ყოვლითა პოვნიერმან, ყოვლად მკურნალმან, ყოვლად სიბრძნემან გამოჩინებასა თვისსა მართალთა მომართ საშინელებად იგი თვისი თუთ დაიფარის, რადთა ღმრთეებისა თვისისა ესენი მახლობელ ყვენს, და კაცთა ხატად და ანგელოზთა მსგავსად ერუენის, რადთა გონებათა თუთალითა შემძლებელ იქმნენ წმიდანი იგი ხილვად მისა. **სე** წმიდაჲ სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტად დავიმტკიცოთ, რომელ ცხადად და პირის-პირ გუმოდურთან ჩუენ წმიდანი წიგნი წმიდითა სულითა საუკუნოვანსა მისთუხს სასუფეველისა ღმრთისაჲსა, რომელ გამოეცხადა ზრახვით მართალთა მათ მამათა ჩუენთა. **თა** იტყოდა ძითა თვისითა და სულითა წმიდითა, და ეხარა სოფელისა წმიდითა წინაჲსწარმეტყუელებითა და მოციქულებითა და მოგუეცა ჩუენ სიმტკიცე სარწმუნოებისაჲ, რადთა სარწმუნოებითა ვვენეთ ჭეშმარიტებასა.

წთ ღმერთ მამად და უფალ შემოქმედ ყოვლისა, და მხოლოდშობილ ძმ, რომელ მამისა მიერ და მამისა თანა და მამისა მიმართ, და წმიდაჲ სული მისი, რომელ არსებისა მისისა მიერ და ერთობით ყოველი შექმნა; რომელ არს ერთი უფლებად, ერთი ძალი, ერთი ფლობილებად, ერთი კელმწიფებად, ერთი პეტობად, ერთი სიმდიდრე, ერთი მეცნიერებად, ერთი დაუსაბამოდ ძლიერებად, ერთი სამებად სრული, ერთი სრული ნებად გამოუთქუმელსა და გამოუძიებელსა ერთსა ერთობასა სამებისასა, ერთი არსებად, ერთი ბუნებად, ერთი ღმრთეებად, მამად და ძმ და სული წმიდაჲ, სამი სახელი, ერთი ძალი ღმრთეებისაჲ. **ჰ**ამად თუთ და ძმ მამისაგან და სული წმიდაჲ მამისა მიერ და ძისა თანა, ბუნებითა არსებისაჲთა წრფელ, მოდგამ, სწორ სიღრმეთა, სიმაღლეთა, სიერცოთა, სიგრძოთა; რომელმან ყოველთა დაბადებულთა განვლის — ცისათა და ქვეყანისათა, ნიავთა და ქართა, ცეცხლსა და წყალსა, ნათელსა და ბნელსა, უფსკრულთა სიღრმეთა და სიმაღლეთა, რომელ გამოუჩინებელთა დაბადებულთა და ძალთა ნათლითა თვისითა მყის მიიწიის და განვლის, და

შეუპყრობელ არს ყოველთაგან ბუნებაჲ მისი, ერთ გვრგუნ სამებისაჲ. **თა** საესე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა, ვითარცა იტყვს მეფე **სოლომონ**, ძმ იგი წინაჲსწარ-მეტყუელისაჲ, სულითა წმიდითა ლოცვასა შინა თვისსა, ვითარმედ: «**ცანი და ქუეყანაჲ ვერ შემძლებელ არიან დატევნად ღმრთისა**» (3 მეფ. 8,27). **თა** სხუად წინაჲსწარმეტყუელი ცათა საყდრად იტყვს, და ქუეყანასა — კუარცხლბეკად ფერკთა მისთა. **თა** აწ რომელსა ვერ შემძლებელ არიან ყოველნი დაბადებულნი დატევნად განსუენებასა თვისსა ყუდროთა და მდაბალთა თანა, რომელნი ძრწიან სიტყუათა მისთაგან და რომელთა ეშინის სახელისა მისისა, მათ თანა განაჩინებს საყოფელსა თვისსა. **სე** არს სიმდიდრე ერთობისა წმიდისა სამებისაჲ სახელ-დებით. **თა** ესე არა დაფარულ არს ბრძენთაგან ამით, რამეთუ მამად არა შობილ და მშობელ არს, და ძმ არა მშობელ და შობილ არს მამისაგან, და სული წმიდაჲ — არცა მშობელ, არცა შობილ, არამედ გამომაჯალ და მიმომფენელ, მსგავსად სიტყვსა მის, რომელ თქუა: «**სული იგი ჭეშმარიტი, რომელი მამისაგან გამოვალს**» (ინ. 15,26). **თა** არა ითქუმის ძმა ძისა, რამეთუ არა არს ნაშობ და არცა უცხო ღმრთისაგან, რამეთუ მამისაგან გამოვალს, ვითარცა **ჯა** და **აბელ** არა ძმა ითქუმიან ურთიერთას, დაღათუ ორნივე **ადამისგან** არიან: ერთი იგი შესაქმით და ერთი იგი შობით. **თა** არა თუ **ადამი** **ჯა** და **აბელ** მამა ითქუმის, დაღათუ მისგან გამოილო გუერდი იგი. **ძ**მისა სახედცა, დაღათუ ღმრთისაგან არს ძმ და სული წმიდაჲ, არა ითქუმიან ურთიერთას ძმა, რამეთუ ცხადად არიან განწესებანი ურთიერთას საესებისაჲ მის ერთისაგან არსებისა მამისა. **ს**დვიარებთ და უწყით მამად დაუსაბამო, გამოუჩინებელ, მიუწდომელ, გამოუთქუმელ, განუზრწნელ, განუზომელ, განუყოფელ, მარტივ, წრფელ, უნაწვერო, უშობელ, შეუზომელ, დაუსაბამო, უსაზღვრო, ურეველ, უსხეულო, წინავე მოგონებულ, უწინარეს ცნობა ყოველთა დაბადებულთა და ქმნულთა. **თა** ძმ შობილი, მხოლოდშობილ, თვნიერ დასაბამისა, თვნიერ ჟამისა, გამოუთქუმელ, თვნიერ განყოფისა, განუყოფელ, განუშორებელ, თვნიერ გუემათა, განუწვალებელ, თვნიერ შუვამდგომელებისა, უწინარეს ყოველთა ჟამთა და მის მიერ სამარადისოჲსა მამისაგან შობილ, რამეთუ ღმრთებრ ღმრთისა მიერ შობილი და არა კაცებრ ჟამთა განწესებითა. **თა** არცა თესლ-წარმოცემულ აღძრ-

ვით წარმოჩნდა ანუ ჭირით რადმე, რომელ შორავნ ღმრთეებასა, არამედ სიწმიდით და სიწრფოებით, ვითარცა ღმრთეებასა შეაშუს შობად, ვერე მსგავსად, ვითარცა თვით არს, ვითარცა მზის-თუალმან ნათელი, ვითარცა წყარომან წყალი. მკუე ჩას, რამეთუ ღმრთისაგანი იგი შობილი მისისა არსებისაგანვე არს და მსგავს მისა არს და მისებრ არს, და თვით ღმერთ არს. შვა და არა განეშორა, მოვიდა მამისაგან და არა განეყენა, არამედ მამისაგან არს და მარადის არს და ყოველსა ჟამსა არს და სრული დგას თვისსა თავადსა არსებასა. ოა ვინ არს, რომელმან ესე გამოცხადებულად განგუგმარტოს? არამედ მახარებელმან და ღმრთისმეტყუელმან **იოჲანე**, რომელ თქუა, ვითარმედ: «ღმერთი ვერვინ სადა იხილა, გარნა მხოლოდშობილმან ღმერთმან, რომელ არს წილთაგან მამისათა, მან გუთხრა» (ინ. 1,18); და სული წმიდად გამომაჟალ, სამარადისო, საუკუნო მამისაგან, ამიერიტგან სული წმიდად, სული პირისა ღმრთისა, სული წრფელი, სული პეტობისა, სული სახიერებისა, სული აზნაურებისა, სული სიბრძნისა და ცნობისა, სული ზრახვისა ძალისა, სული ჭეშმარიტებისა, რომელ მამისაგან გამოჟალს, მისვე არსებისა მამისა და ძისა არს. ორა თუ ქმნულ არს და არცა მონა, არა ბრძანების მიმღებელ, არამედ ბრძანების მიმცემელ, არა ბრძანებასა ქუეშე და არცა საქმესა, არამედ თანა-მოქმედ, რამეთუ ერთ საქმე არს მამისა და ძისა და სულისა წმიდისა; რამეთუ ღმერთ არს სული წმიდად, მასვე საქმესა მამისა და ძისა თვსთ ნებითა თვისითა კელმწიფედ იქმს, რამეთუ განმათავისუფლებელ არს და მაცხოვარ. მისცემს შჯულსა, განუყოფს ნიჭსა, ვითარცა ჰნებაგს, აღაუყენს ყოველნი; რამეთუ ზესენელნი იგი ძალნიცა დაღადებენ და იტყვან: «წმიდა, წმიდა, წმიდა!» (ეს. 6,3). სამჯერ წმიდა თქვან და ერთჯერ უფალი, რამეთუ ერთ არს უფლებად წმიდისა სამებისა. სხედაჲ ერთობასა და სამებასა ჭეშმარიტსა? და არა თუ თვის-თვისა ღმერთთა ვიტყვით; არა ითქუმიან სამ ღმერთ, რამეთუ არა სხუა და სხვისა არსებისაგან არიან. ორა ითქუმის კუალად ერთ ხოლო, რადთა არა **ჰურიაებასა** და **საბელიანოზთა** გონებასა მივსდრკეთ, არამედ გურწამს სამებად თავადი, ერთობით სავსება. ოა არა ვიტყვით სამსა ღმერთსა, რადთა არა წარმართთა ვემსგავსნეთ, რომელნი-იგი მრავალს ღმერთს იტყვან. ოა რომელნი ამას ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა მიაქციეს, მისდრკეს იგინი

ცთომილებად, ვითარცა იტყვს მაცხოვარი სახარებასა შინა, ვითარმედ: «მე მოვედ სახელად მამისა ჩემისა და მე არა შემიწყნარეთ. სხუად მოვიდეს სახელითა თვისითა და იგი შეიწყნარეთ» (ინ. 5,43). ომასვე წამებს **ჰაჟლე** და იტყვს: «მისთვის, რამეთუ სიყუარული ჭეშმარიტებისა არა შეიწყნარეს, რადთა განერნენ, მოუვლინოს მათ ზედა ცთომად ცთომილებისა, რადთა ჰრწმენეს მათ მაცთურისა მის და დაისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარიტებად» (2 თეს. 2,10-12). ოლო ჩუენ მტკიცედ ვიპყრათ ჭეშმარიტი იგი და კეთილი აღსარებად, რამეთუ არა ყოველთადა მიცემულ არს სარწმუნოებად, არამედ რომელთადა მიმადლებულ არს მამისაგან ნათლისა და თავთა თვისთაგან შეწვენულ და შეწირულ, ვითარცა თქუა წინაღსწარმეტყუელმან სულითა წმიდითა, ვითარმედ: «იყვენ ყოველნი სახელ-დებულ ღმრთისა მიერ» (ინ. 6,45) და მერმე იტყვს: «მივსცნე შჯულნი ჩემნი გონებათა მათთა და გულთა მათთა გამოვწერე იგინი. ოა იყვენ იგინი ჩემდა ერად და მე ვიყო მათა ღმერთ» (იერ. 31,33). ოა იგი, თავადი იგი, საუკუნოდ იგი, შობილი დაუსაბამოდ იგი მამისაგან, და ძლიერებად იგი, და ღმრთეებად, და სიტყუად იგი, ღმერთი შობილი მამისაგან, უწინარესი იგი ყოველთა საუკუნეთა, იგივე ნაშობ ღმრთის, იგივე ღმრთეება, შობილი იგი მამისაგან, უწინარესი იგი ყოველთა საუკუნეთა, იგივე ძმ ღმრთისა ჩუენისა კნისათვის მოვიდა და შეიმოსა კაცი ესე და იშვა წმიდისა მისგან ქალწულისა კორციითა დასასრულსა ჟამთასა, ხოლო არა თუ აღრევით ანუ აღშფოთვით; მამად და ძმ და სული წმიდად ღუწოლილისა მის ჟამსა ქალწულისა მის წმიდისა კორცთა შინა. ოოვიგონებდეთ გულისხმის-ყოფად, არამედ განუშორებელობისა და განუყოფელობისათვის არსებისაგან, ერთობისა მისთვის ნებისა და ერთობისა — ჰე, ხოლო თითოვეულისათვის — არა. ჰამეთუ ვითარცა შობასა მას მამისაგან გულისხმა-გჰყოფთ და შობილსა მას ძესა ვსცნობთ და გამომაჟალებასა მას სულისა წმიდისასა მის მიერ აღვიარებთ, ვერცა მოვლინებასა მას ძისასა მამისა მიერ მხოლოდსა. ოა მეორედ შობად იგი ქალწულისა მისგან ძისა ღმრთისა თვისად და მხოლოდ, განწმედად იგი საშოდსა მის ქალწულისა და განწმედად იგი საშოდსა მის ქალწულისა მხოლოდ: რამეთუ არა თუ ერთ სახელ არს წმიდად იგი სამებად, არამედ სამი თავადი სრული სახელი ჭეშმარიტად. ოწ რომელსა ცანი და

ქუეყანად ვერ შემძლებელ არიან დატევნად, ვითარ-მე დაიტიოს იგი გულმან კაცისამან? ნუ-უკუე უფროდს არს კაცი ცისა და ქუეყანისა, ანუ თუ ყოველთა დაბადებულთა? აწ გულისხმა-ყავ, რამეთუ ღმერთსა რადცა ჰნებავნ, და არნ, და რადცა უნდა და ქმნა. ოა რასაცა უნებს და იქმს, და რად ჰნებავნ, არა გარე-წარპკდის. სრამედ დაიმცირა თავი თვისი, დაიკნინა და იქმნა, ვითარცა უნდა. შოავლინა ღმერთმან ძმ თვისი სოფლად, რომელი მოვიდა და იშვა დედაკაცისაგან წმიდისა; მოივლინა უფალი ღმერთისაგან და წმიდისა სულისაგან. (უთ ძმ მოვიდა და იშვა ქალწულისაგან თვთ, თავით თვისით კელმწიფედ, ვითარცა უნდა, მსგავსად სიტყვსა მის, ვითარმედ: «ფლობა მაქუს მე დადებად თავისა ჩემისა და ფლობა მაქუს მერმე აღებად მისა» (ინ. 10,18). შოვიდა და აღასრულა ნებად მომავლინებელისა თვისისა მსგავსად სიტყვსა მის, რომელ თქუა, ვითარმედ: «მოვედ აღსრულებად ნებასა მამისა ჩემისასა» (ინ. 6,38), რადთა გვრუენოს ერთობად იგი სამებისა, განუშორებელ და განუყოფელ თვთ, ერთობითა მით არსებითა, ნებითა მამისადთა. ოა შვეიდა მუცელსა მას ქალწულისასა და არა დაიძაგა, რამეთუ თვთ თავადი იყო განმწმედელ ყოვლისა. ოა თვთ ნებითა თვისითა შეიხზა სახუეველითა; და ძუელი იგი ღმრთეებად ჩუენთვს ყრმა-იქმნა. ოა რომელი-იგი განუზომელ და მიუწლომელ იყო საესებასა ღმრთეებისასა, ჩუენთვს გარდამოკდა და დაიკნინა თავი თვისი და დაიღია კორცთა შინა. სრულად გამოჩნდა ჭეშმარიტად კორციელად მსგავსად სიტყვსა მის, რომელ თქუა მოციქულმან, ვითარმედ: «არა ზომით მისცა მას სული იგი» (ინ. 3,34). ოაღათუ შეიმოსნა კორცნი იგი და იშვა ჩუენდა მსგავსად, ხოლო ღმრთეებად იგი არა იცვალა, არამედ დგას დიდებასა მას მამულსა, ბუნებასა მას ღმრთეებისა თვისისასა, ვითარცა იყო, ვერცა არს და დგას უკუნისამდე. შამისა თვისისა თანა არს მაღალთა შინა თვისსა მას ბუნებასა, ვითარცა თვთ უფალი იტყვს, ვითარმედ: «მე თვთ იგივე ვარ და არა ვიცვალე» (მდრ. მალ. 3,6). ოაღათუ შთაიცუა ხატი კაცისად და ჭეშმარიტად კაც იქმნა და დათმო გინებად, ხოლო გარდამოსლვად იგი და მოსლვად იგი და მომავალებად იგი, ღმრთეებრი გამოჩინებად იგი მისი არს გულისხმის-საყოფელ; და არა თუ ადგილითი ადგილად იცვალის, რომლითა-იგი საესე არს ყოველივე და გარემო არს ყოველსა. ოა ღათუ გამოჩნდა შეურაცხად, ხოლო შეზავნა და შე-

აერთნა კორცნი იგი ღმრთეებასა მას თვისსა, რამეთუ წმიდითა სულითა განწმიდნა საშოდ იგი ქალწულისად მის და შეიმოსნა ძემან ღმრთისამან კორცნი წმიდისა მისგან ქალწულისა, რომლისა კელითა დაებადნეს საფუძველნი ქუეყანისანი და გარდაერთხნეს გარდასართხმელნი ცათანი, რომლისათვისცა წინაღწარმეტყუელი იგი იტყვს: «განაცხადა უფალმან მარჯუენე თვისი და მკლავი თვისი ყოველთა მიმართ წარმართთა. ოა იხილეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვარებად ღმრთისა ჩუენისად» (ეს. 52,10). შარჯუენე მამისა თვთ არს, მკლავ მისავე ქრისტე და მის მიერ განათლდეს შექმნულნი მისნი, და წარწყმიდა უკეთური იგი კორციითა თვისითა. ოა დასაჯა ცოდვად კორციითა მით, რომელ შეიმოსა ღმრთეებამან. სიმადლემან მან, რომელმან შეიმოსა სიმდაბლმ, გამოუჩინებელმან მან შეურაცხად [...] ხილვითა მით, რომლისად მუნქუესვე ღმრთისა მიმართ დიდებასა შესხმად დაღადებით აღელო ზეცისათა მათ ერთთა, და მწყემსთა მათ ასწავებდეს და სიმადლესა მას და სიმდაბლესა მისასა აქებდეს და იტყოდეს: «დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვდობად» (ლკ. 2,14), რადთა არა ბაგასა მას და სახუეველთა მათგან მწყემსთა მათ შეურაცხ ვგონოს, რამეთუ წამებს საფსალმუნმ იგი შესხმასა მას თვისსა, ვითარმედ: «წინავე მთიებისა იყო სახელი მისი და მისა მიმართ იკურთხნენ ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი» (ფს. 109, 3; შესქ. 18,18). ომით სიტყვთა კორციელად შობასა მას გუთხრობს და ერთითა მით ღმრთეებასა მას გვრუენებს, რომელ თქუა: «საშოდთ წინავე მთიებისა გშვე შენ» (ფს. 109,3). ღმობელმან მამამან, რომელმან იგი შვა, მან მხოლომან უწყის. ხოლო მეორედ შობად ესე მაღლითა თვისითა შორის კაცთა განაცხადა, რადთა აცხოვნნეს კაცნი და კურთხევად მოიყვანნეს პირველისა მისგან წყევისა. ოა ქუეყანად თვისითა მით კურთხევითა, მოსლვითა, განაახლოს. ქამეთუ არარად არს ყოველთა შინა მაღლთა ღმრთისათა უფროდს ამისა: სიტყუად იგი ღმერთი განკაცებულ კსნი-სათვს სოფლისადსა წმიდისა მის ქალწულისაგან იშვა. ოა წყევათა მათ წილ და შეჩუენებათა საშოსა ყოველთა დედათასა კურთხევად თვისთა მათ მაღლთად მისთესოს, რამეთუ ვვადსთვს იწყევნეს ყოველნი ნათესავნი დედათანი და მარიაამის გამო ზესკნელი მოიღეს კურთხევად, რამეთუ იხილნეს კაცნი წარსაწყმედელსა, შეკრიბნა განბნეულნი და პოვნა წყმედულნი. ოა მიუდგა

სულისა წმიდისაგან მადლისმპყრობელი იგი ქალწული, თვნიერ მამაკაცისა, განურყუნელად საშოსა მას წმიდასა, ძმ იგი ღმრთისა მისუწდომელითა მით წესითა და წესითა მშობელთათა შვა პირმშოდ იგი ქალაქსა მას დაფითისსა ბეთლემს.

ჰუნ აღესრულებიან ამიერიტგან სულიერადნი იგი მთხრობელნი, მატიაწნი იგი წინადასწარმეტყუელთანი, ყრმისა შობილისა, ძისა მოცემულისა ჩუენდა, რომელსა ფლობად აქუს მკართა ზედა თვსთა, და სახელი ეწოდა მას დიდისა ზრახვისა ანგელოზი, საკვრველი თანამზრახვალი, ღმერთი ძლიერი და კელმწიფჳ, მთავარი მშუღობისა და მამად განმზადებულისა მის სოფლისა. სხედავა, რამეთუ ძე და მთავარ და ანგელოზ და თანამზრახვალ და ღმერთ ძლიერ და მამად განმზადებულისა მის სოფლისა? რამეთუ დღეს შობილი ესე ყრმად მოგუასწავებს, ვითარმედ წინავე იყო ძმ, რამეთუ ძალი ღმრთისა არს და თანამზრახვალ და ღმერთ ძლიერ, რომლითაცა საუკუნენი ესე დაემტკიცნეს. ოა ყრმა, რამეთუ დღეს წმიდისა ქალწულისაგან ბეთლემს იშვა, რომლისათვს წინადასწარ გუთხრობს: «უფალმან მრქუა მე: ძმ ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ» (ფს. 2,7). ოა მამად განმზადებულისა მის სოფლისა, რამეთუ დაძულებული ესე და მოკუდავი სოფელი — მსგავსად პირველისა მის მიწისაგანისა კაცისა. ჰეორჳ ესე კაცი, მოსრული ზეცით — შობილ ქალწულისაგან, რადთა განაახლოს პირველი იგი კაცი, და მფლობელ ამით, რამეთუ კუერთხს აღმოცენებულს ძირთაგან იესესთა იტყვს ესაია, და ყუავილს მორჩისა მისგან შობასა მას ასულისა მის დაფითისსა იტყვს. მკუეთუ ესრე არს, საყდარსა მას დაფითისსაცა დაჯდეს და მეუფებად მისი განემარჯოს. ოიდებულ ძმ მარადის სულიერთაგან და ცეცხლის მსგავსთა მღკდარეთა. ჴი მოვიდა და იქმნა კაც, რადთა კაცებამან მან ხილვად შეუძლოს. ღოლო პირველი იგი შობად ღმრთეებისა მის მამისაგან, თვთ მამამან უწყის; რამეთუ მეორჳ ესეცა შობად ძისა კორციით ვერვინ შეუძლოს გამოძიებად, რამეთუ იტყვს წინადასწარმეტყუელი იგი: «თესლ-ტომი მისი ვინ შეუძლოს თხრობად?» (ეს. 53,8). ოამეთუ ღმერთი არსებითა თვსითა ვერვინ სადა იხილა, და არცაღათუ ზეცისათა მათ ძალთა. ღოლო ძმ იგი შობილ კორციით იქმნა კაც სრულ, და სრულითა მით ღმრთეებითა ღმრთეებისა მის ძალი გამოგვცხადა. ოომელსა იოჳანესა იტყვს

დაწერილთა მათ შინა თვსთა, ვითარმედ: «რომელი-იგი იყო დასაბამითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა, რომელსა-იგი მივხედეთ და კელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა; და ცხორებად იგი გამოჩნდა და ვიხილეთ და ვწამებთ, რამეთუ იგი არს ჳემმარიტი და ცხორებად საუკუნოდ» (I ინ. 1,1-2). ოომელმან შეიმოსნა კორციი იგი ღმერთმან სიტყუამან, შეუპყრობელმან და ურეველმან, რომელსა-იგი ჰრევედეს და შეიპყრობდეს კორციითა მით. ოა ყოველსავე, რასაცა უყოფდეს კორციათა მათ, თავს-იდებდა თვსით ნებსით. ოამოუჩინებელ დაიფარა და დათმო სიმდაბლითა მით, მონა და თანა-მოყუას ექმნა კორციითა მით კაცებასა მას. ოა განათავისუფლნა კორციი ესე კაცთანი ცოდვათაგან, რომელ-იგი შთაჴდა ჯოჯოხეთა, აღმოიყვანნა მიერ შეყენებულნი იგი ჯოჯოხეთისანი. კორციითა იღვენა და განდვენა ეშმაკი, შეკრა ცოდვად და დაშჳჳალა ჯუარსა მას ძელისასა, რამეთუ რომელთა ჰრწმენა კორციი იგი მისი, აცნობა მათ ღმრთეებად იგი თვსი. ოა რომელნი-იგი კორციითა მათ მისთა შეპრკოლდეს, უვარ-ყვეს ბუნებადცა ღმრთეებისა მისისა. ოამეთუ შეიერთა კორციი იგი ბუნებით და შეაერთა კორციი იგი ღმრთეებასა თვსსა. ოომელთა ჰრწმენა იგი, იშუებდეს იგინი კეთილთა მათ შინა გამოუთქუმელთა, და რომელნი ამას სარწმუნოებასა შესცთეს, არა წრეფელთა ალაგთა ვიდოდეს და უგზოსა შესცთეს და განმზადნეს თავთა მათთა ალაგნი გამოუკულველნი. ოა მრავალნი ჳემმარიტებისა სარწმუნოებისაგან განდრიკნეს და ჰგონებდეს, რეცა თუ პოვეს რადმე, და პოვეს არარად. ოითარცა წერილ არს, რამეთუ: «მეუდგეს არარასა და პოვეს არარად» (I მეფ. 12,21).

წწ ყოველი, რომელი გარდაიქცეს ჳემმარიტებისა ამისგან სარწმუნოებისა და სთესვიდენ ბერწსა და მჳნარსა, უწნაჳსა და ცუდსა და გესლგანწონილსა თესლსა სასმენელსა მსმენელთასა, ეგვეითარნი იგი შერეუნებულ არიან, დაღათუ ანგელოზი ზეცით იყოს. ოა იყაჳნ წყეულ, ვითარცა გუელი იგი მიწისმჳამელი, რომელმან ცრუდთა და შეტყუვილისა სიტყუათა მცნებად შემოქმედისა გარდაქცევად ინება. ოა რომელნი მას ეზიარნეს და იტყვან, ვითარმედ: «ოდესმე არა იყო ძმ, და ვიდრე შობადმდე იყოვე არა, და არარადსაგან იქმნა და სხვსა ძალისაგან რადსმე ანუ წარსლვით და რყუნილებით», ეგვეითართა მათ შერეუნებულს-ჳყოფს ეკლესიად კათოლიკე

და წვალებასა მას **საბელისსა**, რომელ-იგი იტყვს: «იგივე ერთ არს». **ს**რამედ მამად ვიცით ჩუენ მამად, და ძმ — ძედ, და სული — სულად წმიდად, ერთი უფლებად, ერთი ღმრთეობად, სამი თავადი სრული. **ძ**არადის მამად, მარადის ძმ, მარადის სული წმიდად. **ს**ული წმიდად სრულ მეოხ, შეუქმნელ, რომელი წინავე იყო და იტყოდა **შ**ჯუღლსა შინა და წინაღსწარმეტყუელთა და მოციქულთა შინა, და გარდამოვდა **იორდანესა** ზედა და წამა განკაცებისათვის ძისა ღმრთისადა-სა, ვითარ-იგი მოვიდა **კ**მად, ვითარმედ: «**ე**ვე არს ძმ ჩემი საყუარელი» (მრკ. 1,11), რომელმანცა შეიმოსა კაცი ევე სრული ღმრთისმშობელისა **მარიაშისგან** სულითა წმიდითა, **კ**ორცი და სა-შუშინველი ჭეშმარიტი და არა იგავით, რამეთუ ესრც მოვიდა სრულიად გამოვსნად კაცისა ამის, ჩუენისა ცხორებისათვის კაც-იქმნა და ხატითა კაცთადთა იქცევოდა. **ნ**ამა და სუა, ვითარცა ჩუენ, და ჭეშმარიტად იტანჯა და იგუემა და ჯუარს-ეცუა **პონტიელისა პილატეს** ზე, ჯუარსა მას დაემჭუალა, მოკუდა, დაეფლა, განცხოველდა. **ს**დღგა მესამესა დღესა, ზეცად აღმადლდა, აკდა, დაჯდა მარჯულ მშობელისა მის თვისისა ღმრთისა, აკდა, და მერმე მოსლგად არს განშჯად ცხოველთა და მკუდართა. **თ**ა ვისთვის-მე მოკუდა? **ნ**უუკუე თანამდებ რამდე იყოა სიკუდილისა? ისმინე, რასა იტყვს წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: «**უ**შჯულოვებად არარად ქმნა და არცა იპოვა ზაკუვად პირსა მისსა» (ეს. 53,9), რომელსა თავადიცა იტყვს, ვითარმედ: «**ვ**ინ არს თქუენგანი, რომელი შემეტყუების მე ცოდვისათვის?» (ინ. 8,46) ანუ **შ**ჯულისაგან თანამდებ რამ-მე არსა სიკუდილისა? და თუთ იტყვს, ვითარმედ: «**ა**ღსრულებად მოვედ მე **შ**ჯულისა» (მთ. 5,17). **პ**ომელსა ნეტარი იგი მოციქული ეწამების, ვითარმედ: «**ა**ღსასრული **შ**ჯულისაჲ ქრისტე არს» (რომ. 10,4). **ს**წ მძლავრთაგან არა ნეფსით თვისით მოკუდების კაცი. **ქ**ოლო ესე ცან, რომელსა იტყვს, ვითარმედ: «**თ**უთ დავდვა თავი ჩემი და არავენი მიმიღოს იგი ჩემგან» (ინ. 10,17-18). **ტ**ყვს: «**თ**უთ დავდვა თავი ჩემი და მერმე აღვიღო იგი» (ინ. 10,17). **ქ**ადსა-მე **ჰ**ნებავს თავისა თვისისა დადებად უბრალოსა მას, რომელი-იგი არა თანამდებ არს სიკუდილისა? მანვე თქუა: «**მ**ე ვარ მწყემსი ქველი, რომელმან დავდევე სული ჩემი ცხოვართა ჩემთა ზედა» (ინ. 10,11). **პ**ომელთა-მე საცხოვართა ზედა? ფრთხოლვილთა მათ ზედა, ვლტოლვილთა მათ, მკვეცთაგან ხეთქილთა მათ ზედა, რომელთათვის წინაღსწარ წინაღსწამეტყუ-

ელი იგი იტყოდა, ვითარმედ: «**ყ**ოველნი, ვითარცა ცხოვარნი, შეცთომილ ვიყვნით და უფალმან მისცა იგი ცოდვათა ჩუენთათვის, და უშჯულოვებათათვის ერისათა სიკუდილი აღმადლდა» (ეს. 53: 6,8); რომლითაცა იქსნნა წარტყუენულნი იგი ტყუეობისაგან. **მ**კუეთუ ესრეთ არს, ქრისტესა შეასხმიდა შემასხმელი იგი მეფსალმუნე და თქუა: «**ვ**იქმენ მე ვითარცა კაცი შეუწვენელი და მკუდართა შორის აზნაურ» (ფს. 87,5-6). **ქ**ამეთუ მარტოდ იყო და არა დამონებულ ცოდვასა, და არა სხვთა ძალითა რადთმე, არამედ თვისითა ძლიერებითა მოკლა განძლიერებული სიკუდილი სოფლის შემჭამელი და დააცხრო ყოველი ცრემლი ყოველთა თუალთაგან, რადთა განაცხოველოს უკუდავსა მას სასუფეველსა შინა მოკუდავებად კაცთად. **თ**ა მერმე ვითარცა იტყვს წინაღსწარმეტყუელი იგი: «**ა**კდა მადლსა და წარმოტყუენა ტყუე იგი, მოიღო ნატყუენავი, განუყო ნიჭად და მოსცა ძეთა კაცთასა» (ფს. 67,19). **ქ**ამეთუ რომლითა შეიტყუენეს კაცნი უნდოთა მით კერპთმსახურებითა, მითვე ჩუეულებისა ძელითა მოაქცინა კაცნი ღმრთისმსახურებად და დაგვტევა ჩუენ ნიში — **ჯ**უარი იგი ვნებათა მათ თვისთად, რადთა ძელი იგი **ჯ**უარისაჲ მის გამოქანდაკებულთა მათ წილ ძელთა იყოს ჩუენდა, და თუთ ქრისტე — უკმობელად **ჯ**უარსა მას ზედა კაცისხატთა მათ წილ კერპთა მათ შებილწებულთა, რომელნი უშუშინვიერთა მათ მიმართ შეცთომილ იყვნეს, და სისხლი იგი უფლისა ჩუენისაჲ ძლუენთა მათ წილ და სიხარულთა ბილწებისათა და ზორვათა, რომელნი მივლენედ უშუშინვიერთა მათ წინაშე და იხარებედ. **ს**არწმუნოდ გკჩინნა მამამან, უსხი იგი დაიკლა ძმ ღმრთისაჲ და უწოდა ეკლესიასა წანულეთსა მას ქორწილისასა და მუნ აღესრულებოდა თქუმული იგი, ვითარმედ «**ვ**ისი არს სძალი, იგი არს სიმძ» (ინ. 3,29), რომელ არს ქრისტე სიძე, ზოლო ეკლესიაჲ სძალ. **თ**ა ვინ არიან მეგობარნი იგი სიძისანი მის? იგინი არიან, რომელთა ჭამეს **კ**ორცი იგი სიძისაჲ მის და მიივიწყეს ზორვად იგი უწესოდ შეკრებასა მას ეშმაკთა მათ წინაშე და სახლი იგი უშჯულოვებისაჲ, კაცისპირთა მათ კერპთა სადგომელი და თაყუანის-სცეს ძელსა მას **ჯ**უარისასა ჭეშმარიტსა ჭეშმარიტებით და განუზავებელსა მას **კ**ორცსა, რომელმან ცოდვანი კაცთანი აკოცნა და მას თანა სატანჯველი იგი და პატიჟიცა. **მ**კუეთუ ვერე არს, რომელნი-იგი გამოიკსნნა პატიჟისა მისგან და განამართლნა, დიდი ნი-

ჭი მიჰმადლა მათ. ჭართლიად მოგუეცა დიდი ნიჭი და პატივი, რამეთუ ემბაზითა ამით შვილ ღმრთის ვიწოდებით. ო ადგუტუა მოცემად ჩუენდა სამარადისოდ იგი და უსაზღვროდ ნიჭი, დაუსრულებელი იგი და გამოუთქუმელი იგი დაუსაბამოდ იგი სასუფეველი თვისი, და ვითარცა ხენი აღმოცენებითა მით და მულკუვითა და ყუავილითა და თესლითა და ფურცლითა და ნაყოფითა და სულითა და გემოდს-ხილვითა თითოვეულად თვისისა მის ბუნებისა შიშულობასა შეიმოსს და საცნაურ-იქმნის სულითა მით და გემოდს-ხილვითა, და ვითარცა-იგი წინა არნ, ვერე სახედ გამოჩნდის და სხუად სახედ არა იცვალის, ვერეცა კაცი ვორცითა, ძარღვთა, ძუალითა, ნაწვერითა, შეძერწვითა, ტყავითა, თმითა შეიმოსის და შეიმკვის და მაშინდა სული იგი მისი მისავე მიიქცის. ო რომლითა საქმითა დაეფლნიან სამარებსა, მითვე საქმითა ტვრთოსანნი მოვიდენ. ოამეთუ რაჟამს აღვიდოდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, ღრუბელთა შინა ჰაერთა ზედა გზად განქმნა, მამისა ზეცად აღვიდოდა, აღიპყრნა კვლნი თვისნი, აკურთხნა მოწაფენი იგი და წარავლინნა, რამთა მოიმოწაფენენ და ასწუებდენ ყოველთა წარმართთა. ომის ყოვლისათვის ღმერთი ჭეშმარიტი ახარეს სოფელსა და, ვითარცა ასწავეს მოწაფეთა მათ მისთა სოფელსა, უწოდა მათ მოძღურად სულისა მიერ წმიდისა, რომელთა ეტყოდაცა: «სხუაცა მრავალ სიტყუა მაქუს თქუენდა, ხოლო აწვე ვერ შეუძლოთ დატყენად. ოლო რაჟამს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისადა, მოგაკვსენოს თქუენ და გიძლოდის თქუენ ყოველთა ჭეშმარიტებით» (ინ. 16,12-13). ო მერმე, ვითარმედ: «მოვიდე და მეოხი იგი მოგივლინო თქუენ» (ინ. 16,7). ო ვითარცა იტყვს სულითა წმიდითა ჰაელე მოციქული: «ნანდვლვე დიდ არს ზრახვად იგი ღმრთისმსახურებისადა მის, რომელი გამოჩნდა ვორცითა, განმართლდა სულითა, განეცხადა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის, სარწმუნო იქმნა სოფლისა და აღმადლდა დიდებითა» (I ტიმ. 3,16). ოცდა და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა მამისა; და შემდგომად დღისა მის ვნებისადასა, რომელ არს აღვსებადა, და აღსრულებასა მას დღეთა მათ ერგასისთასა, ვიდრე-იგი იყვნეს მოციქულნი შეკრებულ ერთად, მოვიდა სული წმიდა და აღავსნა ყოველნი და იწყეს სიტყუად ენათა მრავალთა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად ენათა უცხოთა, რომლისათვისცა ჰეტრე აღივსო სულითა წმიდითა და მრავლითა

იგავითა უჩუენებდა მათ მოსლვასა მას სული-სა წმიდისასა და მადლთა მათ ქრისტესთა. ო ვითარცა მოიღეს სული იგი წმიდადა, მოიკვსენეს სიტყუად იგი უფლისადა, რომელ თქუა, ვითარმედ: «**იოანე** ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა» (საქმ. 1,5). ო მერმე იტყვს, ვითარმედ: «რუენ არა მოვიდეთ სული ამის სოფლისადა, არამედ სული იგი, რომელ ღმრთისა მიერ არს» (I კორ. 2,12). ოამეთუ თვთ ქრისტე იტყვს, ვითარმედ: «სულ არს ღმერთი» (ინ. 4,24). ოჭრუენებს ერთობითა მას სამებისა არსებასა სიტყვთა ამით: «რამეთუ არა თავით თვისით რას იტყოდის, არამედ რად-იგი ესმეს მას, იტყოდის და მომავალსა მას ყოფადსა გითხრობდეს თქუენ. ოან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ, რამეთუ ყოველი, რად არს მამისა ჩემისადა, ჩემი არს. ომისთვის გარქუ თქუენ, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ» (ინ. 16,13-15). ო ოწ იხილე ერთობადა იგი, ერთნებადა იგი, ერთსწორებადა იგი ჭეშმარიტისა მის სამებისადა. ო იხილე, ვითარ გამობრწყინდა და გამოგუნათლდა სამებადა ერთობით ჭეშმარიტად. ოამეთუ იტყვს, ვითარმედ: «არა თავით თვისით რას იტყვს სული იგი წმიდადა, არამედ ჩემგან მოიღოს და გითხრას თქუენ, რამეთუ რად აქუს მამასა ჩემსა, ჩემი არს» (ინ. 16,15). ოხილე მამადა სრულ, ძმ სრულ და სული წმიდადა სრულ, შემოქმედ მამადა, შემოქმედ ძმ, შემოქმედ სული წმიდადა. ოამისასა იტყვს: «მამადა ჩემი მოაქაჟამადმდე საქმესა იქმს» (ინ. 5,17). ო მერმე: «დასაბამითგან ქმნა ღმერთმან ცადა და ქუეყანადა» (შესქ. 1,1). ო ძისასა მახარებელი იტყვს: «ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვნიერ მისა არარადა იქმნა» (ინ. 1,3). ო მერმე: «სიტყვთა უფლისადათა ცანი დაემტკიცენეს» (ფს. 32,6). ო სულისა წმიდისათვის იტყვს: «და სულითა პირისა მისისადათა — ყოველი ძალი მათი» (ფს. 32,6). ო მერმე ქრისტე იტყვს: «სული არს, რომელი განაცხოველებს, და ვორცმან არადა არგის» (ინ. 6,63). ოოგუასწავა განუყოფელისა მის ბუნებისათვისცა ღმრთეებისა მის, ძალისა განუწვალელებისა, რომლისათვისცა თქუა, ვითარმედ: «გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად» (ინ. 16,28). ორევე სულისა წმიდისასაცა იტყვს, ვითარმედ: «სული იგი ჭეშმარიტებისადა, რომელი მამისა ჩემისაგან გამოვალს» (ინ. 15,26). ო ამითცა გჭრუენებს ერთობასა მას განუწვალელებელსა სამებისასა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: «სულ არს ღმერთი»

(ინ. 4,24) და გვჩვენებს თავისა თვისისათვისცა და ჭეშმარიტისა მის სულისათვისცა, ვითარ განუ-
შორებელ არს მამისაგან. ოღონდ მოციქულნი
მოვლინებულ მამისაგან ითქუმიან, არამედ სამე-
ბისა მიერ; ერთობითვე ნებითა თუ ერთვე ზრახ-
ვით თუ ვერათვე განუწვალებელმან სამებამან
ერთობით საქმე იგი აღასრულა, რომლისათვის-
ცა **იოანე** ნათლისმცემელი წამებს, ვითარმედ:
«ღმერთი ვერვინ სადა იხილა, გარნა მხოლოდ-
შობილმან ძემან, რომელი არს წიაღთაგან მამი-
სათა, მან გვთხრა» (ინ. 1,18). სამეთუ თანა-ყო-
ფილად რად იგი იხილეს, მას საქმესაცა მოქმედ
იყენეს ძმ და სული წმიდაჲ. ჴითარცა მამად და ძმ
და სული წმიდაჲ სწორ ღმრთეებითა, საქმეთაგან
მამისათა ვერვე მეცნიერ იყვნეს. მ საკრველი
ნიჭი ღმრთის ცნობისაჲ, წილით ხუედრებული
მოციქულთა მათ! ვითარ ესევეთარსა შუენიერსა
და სულნელსა ცნობასა მეფს წარწინეს, ამის
სახედვე ჭეშმარიტისა მის სულისა წმიდისათვის
წეს არს გულისხმისყოფად, რომელ თქუა, ვი-
თარმედ: «სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი
გამოვალს მამისაგან» (ინ. 15,26). სამოვალს და
არა განიყოფვის, გარდაეცემის და არა მოაკ-
ლდების. ო ერთბამად ჭეშმარიტად ერთობასა
მას და ერთსწორებასა იტყვს: «მე მამისა თანა
და მამად ჩემ თანა» (ინ. 17,21). ო «რომელმან
მიხილა მე, იხილა მამად ჩემი» (ინ. 14,9), რა-
მეთუ არა საზღვრით რად ღმრთეებასა დაიტევს.
ო აწ ესრე-მე ვთქუათა, ვითარმედ მამად ცათა
შინა და მხოლოდშობილი ძმ და ჭეშმარიტი სუ-
ლი ქუეყანასა ზედა, რომლითა სავსე არს ყოვე-
ლი და არს ყოველსა შინა და ზედა ყოველსა?
ამის ყოვლისათვის ღმრთებრ იტყვს, ჰმოძღურის
და ასწავებს ქრისტეს მოწაფეთა მათ. ო იგინი
აღსავსე სულითა წმიდითა დიდთა მათ მადლთა
მოძღურებისათა ძისა მის ღმრთისათა უქადაგებ-
დეს ყოველთა და ასწავეს მრავალთა სარწმუნოვე-
ბად ჭეშმარიტი. ო საქმითა მით სიმკნისადათა
მრავალთა განმათავისუფლებელსა მას უღელსა
დაამორჩილებდეს, რამეთუ მცირისა მის მიზეზი-
სათვის ამიერ ზეცად შეწირეს სარწმუნოებაჲ
თვისი წმიდით საქმიითურთ. ო ამიერთგან ძმ
ღმრთისაჲ მიუწლომელთა კეთილთა შუვადმდ-
გომელ არს და თანამდებ, რომელთა უყუარს
იგი. ო რად-მე ნანდვლ მიუწლომელ და განუ-
ზომელ ამისა უფროჲს იყოს, რაჟამს აღსრული
იგი მამისა ზეცად ზეცითვე დიდებითა მამისადათა
მოვიდეს და წინაშე ყოველთა მათ დასთა ანგე-
ლოზთასა და ერთა მათ ძლიერთა კელი უპყრას

თვისთა მათ საყუარელთა და თვისა მიიზიდნეს და
თვისსავე მას ღმრთეებისა საყოფელსა ახაროს?
რამეთუ მოუკლებელი იგი და ძლიერი ღმერთი
ადგილსა მას სამკვდრებელსა მიგრძობილსა მას
საზღვარსა დაუსრულებელსა მას სასუფეველსა
განუშნადებს საყოფელსა, რომელ ერთსა მას
ხოლო საშუებელსა წესიერნი იგი და ღირსნი.
სიტყვერთა მათ და სულიერთა და კორციელ-
თა თავისა თვისისა თანა განუშნადოს საყოფე-
ლი, რომლისათვისცა ყოვლადვე მკნელი იგი
ახარებდა მოწაფეთა მათ და აღუთქუმიდა, ვი-
თარმედ: «სადაცა მე ვიყო, ნუმცა თქუენ იყვნეთ
და ყოველსა ჟამსა დიდებასა ჩემსა ჰხედვიდეთ
(ინ. 14,3; 17,24). ღოლო ერთი ესე გამო-ხო-
ლო-აცხადებს და ზემთა ხოლო იტყვს: «მაშინ
უწყოდით, რამეთუ მე მამისა თანა და თქუენ ჩემ
თანა. ო მე თქუენ შორის» (ინ. 14,20).
ო მას ზედა მოსავესენებელ არს სიტყუად იგი:
«რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა
ესმა და გულსა კაცისასა არა შთაფარდა, რომე-
ლი განუშნადა ღმერთმან მოყუარეთა თვისთა» (I
კორ. 2,9). ჴითარცა იტყვს ნეტარი იგი **პავლე**,
ვითარმედ: «მადლი ქრისტესა გამოუთქუმელთა
მათ ზედა ნიჭთა მისთა» (II კორ. 9,15). სამეთუ
არა ცუდად რადმე და უღებად ეგოდენ დამ-
დაბლდა ღმერთი სიტყუად და ძმ მხოლოდშობი-
ლი დაუსაბამოსა ღმრთისაჲ და ნანდვლვე ჭეშ-
მარიტ ძე ღმრთის, რამეთუ დამდაბლდა, რადთა
ჩუენ აღგუამაღლნეს, რომლისათვისცა თავს-იდ-
ვა ძედ **დავითისად** წოდებაჲ, რადთა ჩუენ მყვნეს
ძე ღმრთის. შეიწყნარებს მამად ძისაჲ მონასა
მაგას, რადთა გექმნეს მამა უფალი იგი. ოკუეთუ
შენისა მაგისგან რას ორგულებ, მისისა მისგან
გრწმენინ და ისწავე, რამეთუ უმეტეს რადმე
გონებასა კაცთასა ესე ძნელ უჩს, ვითარმედ
ღმერთი განკაცნა ამისთვის, რადთა კაცი ძე ღმ-
რთის ითქუას. ო რაჟამს გესმას, ვითარმედ ძმ
ღმრთისაჲ ძედ **დავითის** არს და ძედ **აბრაჰამისა**,
ნურას ორგულებ ამიერთგან, ვითარმცა შენ ძმ
ადამისა არა ძე ღმრთისა იყავ. ოშუა კორციელად
წმიდისა მის ქალწულისაგან, რადთა შენ იშვე
წმიდისა მის მიერ სულისა. ოშუა დედაკაცისაგან,
რადთა შენ იშვე ემბაზისაგან, რომელ-ვეე იქმენ
ძე ღმრთის. ომისთვისცა მეორედ იშვა და ჩუენ
გუემსგავსა და უზემთაეს ჩუენსა იქმნა, რამეთუ
დედაკაცისაგან შობად ჩუენ ზედა-გუედების და
ამისა შემდგომად არა კორცისაგან, არცა სისხ-
ლისაგან, არამედ სულისა წმიდისაგან ვიშვე-
ბით წმიდასა მას ემბაზსა შინა. ოსე მისი არს,

რომელი-იგი უზემთაეს ჩუენსა ნაშობი იყო. ოა რამეთუ ჩუენ ზედა განმზადებულ იყო აღსრულება, წინადსწარ გუაუწყა. ოა რამეთუ ვითარცა თავადი თვნიერ სისხლისა და თვნიერ ნებისა ჳორცთაჲსა იშვა მეორე იგი შობად, ეგრცთვე ჩუენ თვნიერ სისხლისა და თვნიერ ჳორცისა წმიდისა სულისაგან ვიშენეთ ზესკნელითა მით შობითა. ოა ვითარცა გამოგჳნდა ჩუენ მეუფც იგი და ღმრთეებისა ბუნებაჲ იგი ზატად კაცისა, ეგრეცა კაცნი თვსსა მას ღმრთეებასა, მეუფებასა გერგუნოსან-გუყვნეს და სასუფეველსა მას შინა თვსსა გუახაროს წარუვალსა მას ზეცისა სიხარულსა მისსა. ოიდებაჲ ღმრთეებასა მისსა აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე, ამენ.

ოწ ამიერთგან მტკიცედმცა გჳყრიეს კეთილი იგი აღსარებაჲ, რომელ აღვიარეთ. ჩუმცა მიჳაქცევთ ნუცა მარჯულ, ნუცა მარცხლ! გურწმენინ მამად ღმერთი სრული და ძც ღმერთი

სრული და სული წმიდაჲ ღმერთი სრული! ერთ არს ღმრთეებაჲ წმიდისა სამებისაჲ, ერთი არსებაჲ, ერთი ბუნებაჲ, ერთი თავადი სრული სამებაჲ, ერთი სრული ღმერთი, ერთი ძალი, ერთი ძლიერებაჲ, ერთი უფლებაჲ, ერთი ერთობითი ღიდებაჲ, ერთი ერთობითი ნათლითა, ერთი ერთობითი აღვსებითა, რამეთუ ვერვინ შეუძლოს გამოძიებაჲ, რად ანუ ვითარმე იყო.

ოურწამს სამებაჲ. ორწმუნეთ ერთობად უტყუად დუმილით. ოარნა გრწმენინ ზოლო აწ გამოუძიებელი იგი და გამოუთქუმელი. ჳ, მიწისაგანთა მათ გამოსრულთა გამოსახულთა და შექმნულთა ვითარ შეუძლოთ გამოძიებაჲ ანუ ცნობად მალლისა მის და დასაბამითნი ესე დაბადებულნი დაუსაბამოჲსა მის? მიუწლომელი იგი ვითარ შეუძლოთ გამოძიებაჲ? რომლისაჲ არს ღიდებაჲ უკუნიით უკუნისამდე, ამენ.

